



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 80-ე წელი

გამოცემის 1937 წლიდან
დაღოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№19 (9.781)
20 - 27 მაისი 2017 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა



მმ.2

ირაკლი
შიოლაშვილი:
უცხოელებზე
მიწა არ უნდა
გასხვისდეს

ბითუსაფრთხოების პუნქტი მთინახულეს



მმ.3



მმ.7

„საქართველოს
ფოსტის“
ახალი
ფილიალი
ბაიხსნა



მმ.8

სოციალური
საწარმოს
პროპენტაცია
მოეფუცო

ანზორ გაძარაშვილმა სასამართლო დავა მოიგო

მმ.5



ირაკლი ლარიბაშვილი:
„ეს არის გმირი კაცი, მან
დაიცვა ორიგინალები, რომ
საკაპუვილს არ წაეღო
სახლში... გაუძლო მხედრობს,
ყაჩაღებს, კრიმინალებს,
ყველას და შემოინახა
მუზეუმი. ძალიან დიდი
მადლობა მინდა გადავუხადო“



მმ.5

მარტოხელა
მთხუცი
დახმარების
მოლოდინში


ჰერები მეტ ყურადღებას და
სამთაწყაროს ხიდის გახსნას ითხოვენ



მმ. 5

ოჯახი -
ჯუჯა
სახელმწიფო

მმ.2-7



ირაკლი შიოლაშვილი: უცხოელებზე მიწა არ უნდა გასხვიდეს

საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის დროს ოპოზიციამ მმართველ გუნდს შესთავაზა ქვეყნის მთავარ კანონში შესულიყო ნორმა, რომლის მიუხედავად უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის გაყიდვა აკრძალულია.

მმართველ გუნდში ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია არ არსებობს. „ქართული ოცნებიდან“ სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი მიონი ნევეს, რომ უცხოელებზე მიწის გაყიდვა უნდა აკრძალვას, თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მთავრობას უნდა ჰქონდეს მიწის პრივატიზების უფლება. ირაკლი შიოლაშვილი ფიქრობს, რომ საზღვარგარეთ რეგისტრირებულ პირს მიწის შესყიდვა უნდა შეეძლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის განახორციელებს ინვესტიციას.

„უცხოელებზე მიწის მიყიდვა არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი. მთავრობას უნდა ჰქონდეს ექსკლუზიური უფლება, განსაკუთრებულ შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქეს მიწა მიჰყიდოს. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი იყიდის მიწას, ის ვალდებულია, მიმდებარე ტერიტორიაზე განავითაროს ის სასოფლო-სამეურნეო მიმართულება, რაც კონკრეტულ სივრცეს უკავშირდება. ეს პრაქტიკა არსებობს ძალიან ბევრ, მათ შორის დასავლურ ქვეყნებში, სადაც აკრძალულია უცხოელებზე მიწის გაყიდვა. უცხოელებზე მიწა არ უნდა გასხვიდეს“, – განაცხადა ირაკლი შიოლაშვილმა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კი არ ეთანხმება სხვა ქვეყნების მოქალაქეებზე მიწის გასხვიების აკრძალვის ჩანაწერის კონსტიტუციაში შეტანას. ირაკლი კობახიძე მოითხოვს ახალ ნორმაზე, რომლის მიხედვითაც მიწა არის განსაკუთრებული სტატუსის მქონე და ეს საკითხი ორგანული კანონით რეგულირდება.

„მიწის გასხვიებისას დაკავშირებით კონსტიტუციაში არ უნდა იყოს ასახული ტოტალური აკრძალვა. აქედან გამომდინარე, ჩვენ გადაწყვიტეთ, ეს საკითხი ყველაზე სწორი იურიდიული ფორმით. კონსტიტუციაში წერია, რომ მიწა არის განსაკუთრებული ფენომენი და ეს საკითხი წესრიგდება ორგანული კანონით. შესაბამისად ეს იძლევა შესაძლებლობას, რომ საკითხი რაციონალურად გადაწყდეს. უკვე მომზადებულია ორგანული კანონის პროექტი, რომლითაც გამოირიცხება არასწორი ფორმით ქართული მიწის გასხვიების საკითხი და ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, სადაც საუბარია პოზიტიური ინვესტიციაზე“, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერთვის გაუგებარია, რატომ არ უნდა იყოს კონსტიტუციაში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის გასხვიების აკრძალვა ნორმა. პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი ფიქრობს, რომ უცხოელებზე მიწის პრივატიზება ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს.

„კახეთში ძალიან ბევრი უცხოელი დაუ-

საბუთებლად ყიდულობს მიწას. ჩვენ გთავაზობდით, რომ კონსტიტუციაში მკაფიოდ ჩანაწერიყო, უნდა აკრძალვას ქართული მიწის მიყიდვა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. არ მესმის, რატომ იყო რთული კონსტიტუციაში ასახულიყო ჩვენი სულისკვეთება, რომ ქართული მიწა უნდა ეკუთვნოდეს საქართველოს მოქალაქეებს. იმედია, კანონით მაინც დარეგულირდება ის საკითხი, რომ საქართველოში მიწა იქნება ის რესურსი, რომელსაც არაბები, ინდოელები და ირანელები ვერ მიიტაცებენ. მე არ ვებრძვი არც ერთ ინვესტორს, თუმცა არც ერთ მათგანი არ ანხორციელებს რეალურ ინვესტიციას“, – აღნიშნა ირმა ინაშვილმა.

უცხოელებზე მიწის უპირობოდ გასხვიებასთან დაკავშირებით ფერმერთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა „ფერმერ ქალთა ასოციაციამ“ და კოალიციამ „ფარი“ ხელმძღვანელების შეგროვება დაიწყო. ადრესატი საქართველოს პარლამენტი, მთავრობა და პრეზიდენტი. არასამთავრობო სექტორის გარკვეული ნაწილი სახელმწიფო მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე პრივატიზების საფუძველსა და კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებს და მის გასხვიებას მიუღებლად მიიჩნევს.

სოფლის ბევრ ქვეყანაში მიწაზე საკუთრება აბსოლუტურ უფლებას არ წარმოადგენს და სხვადასხვა ნორმატიული აქტით რეგულირდება. მაგალითად, ირლანდიასა და

ჩეხეთში იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა.

ამ საკითხისადმი მსგავსი დამოკიდებულება ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, კანადაში, ავსტრალიასა და ჩვენს მეზობელ თურქეთშიც. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მიწის ყიდვა ეკრძალებათ ამერიკის მთელ რიგ შტატში, კანადის რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო პროვინციაში და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ირიბი შექანიზმებითაცაა გარანტირებული.

ევროკავშირში, მართალია, მიწაზე საკუთრების უფლებების მოპოვების მხრივ, ბევრი სახელმწიფოს მოქალაქეები გათანაბრებული არიან, მაგრამ მათთვისაც დანესებული შეზღუდვები ეკონომიკურად თითქმის შეუძლებელს ხდის მესამე ქვეყნის რეზიდენტების მიერ მიწის შექენას. ბევრ ევროპულ ქვეყანაში მიწის ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მკაცრ მოთხოვნებს, კერძოდ, სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, შრომით გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სათანადო კაპიტალის ფლობას და ა. შ. ბულგარეთში, ლიტვაში, ინდოეთსა და ჩინეთში კი უცხოელებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და ტყეების მიყიდვა აკრძალულია.

ნიკოლოზ ქსიტაშვილი

ოჯახი - ჯუჯა სახელმწიფო

ალბათ ყველას გვახსოვს მთავარი ფრაზა: „ოჯახი - ჯუჯა სახელმწიფო!“ დღეს კი, რაოდენ მკაცრადაც არ უნდა ვფიქრობდეთ, სამსუბაროდ, ეს მინი-სახელმწიფოები მუდმივ რღვევას განიცდიან ჩვენს პატარა სახელმწიფოში, თითქმის შექმნის დღიდანვე ინგრევა ისინი. რა ხდება? რატომ მომრავლდა საქართველოში დანგრეული ოჯახები და რა გვემართება? ეს ალბათ ის კითხვებია, ყველა ჩვენთვისაა მნიშვნელოვანი, მაგრამ პასუხისთვის და შეგონებისთვის ყურს რომ არავის ვუგებთ. რა თქმა უნდა, ოჯახის დაზარალების ათასი მიზეზი არსებობს და ყველა მიზეზს ან მოექმნება გამართლება, ან არა, მაგრამ მიზეზზე უფრო მნიშვნელოვანი რამ გვაგონდება დღეს ქართველებს და ამაზე გვიჩნდა სწორედ თქვენი ყურადღება გავამახვილოთ.


ცხოვრებისა. ცალკეული ოჯახების კეთილზნობრივ ცხოვრებაზე დამოკიდებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების კეთილი წყობაც და წესრიგიც.

ამრიგად, ჩვენს სახელმწიფოში შექმნილი გაურკვეველი და არამდგრადი მდგომარეობა, ქაოსი, უკიდურესი გაჭირვება საოცრად ზღაპრული სიმდიდრის ფონზე, სასონარკვეთა და უიმედო განწყობა - ცალკეული ოჯახების დამსახურებაა. შეიძლება შემდეგვით და მითხრათ, გარემო და ქვეყანა გვაქვს ასეთი, ჩვენ რა შუაში ვართ, მაგრამ სწორედაც რომ შუაში ვართ, რადგან გარემოსაც და ქვეყანასაც ჩვენ ვქმნით.

ჩვენმა წინაპრებმა თავიანთი აზროვნებითა და ცხოვრების წესით უკვე შექმნეს ეპოქები და დაგვიტოვეს ის ისტორიები, რომლითაც დღემდე ვამაყობთ და რომლითაც მოვედით, მოვალნივით თანამედროვეობამდე. ახლა კი ჩვენი ჯერია. ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება ჩვენი მომავალი თაობა.

თანამედროვე ქართულ ოჯახებში, სამსუბაროდ, დღეს დიდ პრობლემას წარმოადგენს მშობლების ფუნქციის საკითხი. ემანსიპირებულმა ეპოქამ სხვა საზრუნავი გაუჩინა ქართველ დედებს. მიზეზთა და მიზეზთა გამო

კაცი შედარებით უმოქმედო და ცხოვრებაზე ხელჩაქეული გახდა, მაგრამ ქალმა, დედამ - როგორც შვილებზე სიცოცხლის ძა-



ფით დაკავშირებულმა არსებამ, თავის თავზე აიღო შვილებისა და თვით ოჯახის ფიზიკურად გადარჩენის საკითხი, ამიტომაც დღეს არავისთვის სიახლეს არ წარმოადგენს, უცხოეთში გადახვეწილ ქართველთა უმეტესობაც

რომ ქალია, დედაა.

და მაინც, როგორი უნდა იყოს დღეს თანამედროვე ოჯახი? - ძნელი ასე უმეტესად ჩამოწერი და მცნებებად დაუდო ოჯახებს თავიანთი ერთმანეთისადმი ვალდებულებანი. ერთადერთი რაზეც შეიძლება მიუთითო, ეს არის, გადაფასონ ღირებულებები და შეაფასონ წინაპართა ღვაწლი. ვინმემ შეიძლება ზედმეტი ტრადიციულობაც დამბარალოს, მაგრამ ჩემის აზრით, ოჯახის მთავარი ფუნქცია რადგან მაინც შეილება აღზრდაა, თუ დღეს მათ ჭეშმარიტ ქრისტიანებად აღზრდით და ჩვენც, უფრო მეტად ქრისტიანები გავხდებით, ხვალ საზოგადოებაც უკეთესი იქნება და სახელმწიფოც უფრო ძლიერი და მაღალმოსილი.

ლალა იაკობიშვილი, კულტუროლოგი - „მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გააქტიურდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა შუამავიზაციის პროცესი. ოჯახის პრობლემაც კაცობრიობის განვითარების გლობალურ პრობლემათა რიგს მიეკუთვნა. მსოფლიო თანამეგობრობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოჯახში და სოცია-

ლურ სივრცეში უფლებათა იურიდიულმა თანასწორობამ, რომლისთვისაც ამდენი ძალა და ენერჯია იქნა დახარჯული, მხოლოდინი ვერ გამართლა. თანასწორობა კანონით ფაქტობრივ თანასწორობას ყოველთვის არ ნიშნავს.

ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართალში გაჩნდა კიდევ ერთი მიმართულება ე.წ. „ადამიანთა უფლებების მესამე თაობა“, რომელიც მიზნად ისახავს ცალკეული სოციალური ჯგუფების სასიცოცხლო შესაძლებლობების გაფართოებას.

„ადამიანთა უფლებების მესამე თაობის“ ყურადღების ცენტრში ისევ ქალები არიან მოქცეულნი. მსოფლიო თანამეგობრობა აღიარებს იმ ფაქტს, რომ, მიუხედავად გარკვეული წინსვლისა, ორი სქესის თანასწორუფლებიანობის მიღწევის საქმეში, საზოგადოებაში კვლავ არსებობს ქალების დისკრიმინაცია, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის ერთ-ერთი ხელისშემშლელი პირობაა და ზიანს აყენებს მსოფლიო ცივილიზაციის ჰუმანური და დემოკრატიული განვითარების პროცესებს.

მოიპოვეს რა მამაკაცებთან თანასწორი პოლიტიკური უფლებები, ქალები სულ უფრო დიდ წარმატებებს აღწევენ პოლიტიკურ (გაგრძელება გვ.7)

„საქართველოს ფოსტის“ ახალი ფილიალი გაიხსნა

15 მაისს, კახეთში საქართველოს ფოსტის ოთხი სერვის ცენტრი გაიხსნა – დედოფლისწყაროში, ახმეტაში, ლაგოდეხსა და სიღნაღში. მიმდინარეობს გურჯაანის სერვისცენტრის სამშენებლო სამუშაოები. იგეგმება ყვარლის სერვის-ცენტრის შენობის რეაბილიტაციაც.

სერვის-ცენტრის გახსნისას განხორციელდა ვიდეო ჩართვები, დამსწრეებს საშუალება ჰქონდათ, ვიდეო ტრანსლაციის საშუალებით დაკვირვებოდნენ აღნიშნულ ქალაქებში ახალი სერვის-ცენტრების გახსნის ცერემონიას.

შენობები მომხმარებლის მოთხოვნების სტანდარტების დაკმაყოფილებაზეა მორგებული და მისი ავტომატიზირება ყველა თანამედროვე საფოსტო პროდუქტის მომსახურებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, შენობის კონსტრუქცია საინტერესო არქიტექტურული გადაწყვეტილებებით გამოირჩევა.

გახსნის ცერემონიის პარალელურად არ შეწყვეტილა მომხმარებლების მომსახურება. რამდენიმე მათგანმა ღონისძიების მსვლელობისას შეძლო საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ამანათის გატანა.

„დედოფლისწყაროში ვცხოვრობ, დედა მყავს საზღვარგარეთ და ხშირად მიგზა-

ვნის ხოლმე ფულსაც და ამანათსაც. აქამდე რაიონში ასეთი კომფორტული მომსახურება არ ყოფილა, ხარვეზებს ვაწყობდებოდი. ახლა კი რომ მოვედი, საოცრად ლამაზი გარემო დამხვდა. ყველაფერი ძალიან მომეწონა. ამჯერად დედამ საბერძნეთიდან ამანათი გამოგვიგზავნა და იმის გასატანად ვარ მოსული. მოხარული ვარ, რომ ამიერიდან საუკეთესო გარემოში მომეცემა მომსახურების მიღება. კარგია, რომ ფოსტის განახლებული შენობა ჩვენს რაიონსაც ექნება,“ – აღნიშნავს მომხმარებელი ნინო ბიკაშვილი.



„საქართველოს ფოსტის“ დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის მენეჯერი დიმიტრი პოპიაშვილი გაზეთ „მორაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ მომსახურების ფასებმა წინა წლებთან შედარებით დაიკლო. მისი თქმით, ადგილობრივი სერვის-ცენტრი საქაო დატვირთვით მუშაობს.

„აქამდე ძველი შენობა გვექონდა, საბჭოთა დროინდელ გარემოში გვიხდებოდა მოქალაქეთა მომსახურება. ახლა გაიხსნა თანამედროვე, ევრო-სტანდარტების შესაბამისი ოფისი, სამზარეულოთი, სველი ნერტილებით და ყველა მხრივ უზრუნველყოფილი. კმაყოფილია აქ მომსახურე პერსონალიც და ჩვენი მომხმარებელიც. ხალხს ინტერესი აქვს საფოსტო მომსახურების მიმართ. ფულადი გზავნილები შემოდის საზღვარგარეთიდან. ამანათები შემოდის საბერძნეთიდან, იტალიიდან, ისრაელიდან, კანადიდან, ამერიკიდან. მცირე პაკეტები შემოდის ძირითადად ჩინეთიდან. ნერილების რაოდენობა იმდენი არ არის, როგორც ეს ადრეულ წლებში იყო, მაგრამ ესეც მოქმედებს. განსაკუთრებით საქმიანი შეტყობინებები იგზავნება. ფასები ხელმისაწვდომია. ბოლო ხანს ნერილების გაგზავნა გაიადფა, უფრო ხელმისაწვდომი გახდა და მოსახლეობაც კმაყოფილია,“ – ამბობს დიმიტრი პოპიაშვილი.

საქართველოს ფოსტის მფლობელი სახელმწიფოა, რამდენიმე წლის წინ ფოსტაში რეფორმა განხორციელდა, რის შედეგადაც სერვისი კიდევ უფრო დაიხვეწა.

ილია მარტყოფლიშვილი

მარტოხელა მოხუცი დახმარების მოლოდინში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედში მცხოვრები 78 წლის თამარ მკერვალიძე დახმარებას ითხოვს. როგორც მარტოხელა მოხუცი ამბობს, მისი საცხოვრებელი სახლი, რომელიც საკმაოდ ძველია, ძალზე ავარიულია და კედლები დაზარალებულია. გარდა იმისა, რომ დახეტილი კედლებში ზამთარ-ზაფხულ ტემპერატურის შენარჩუნება ჭირს, ქვეწარმავლების შესვლის საფრთხეც არსებობს. მის ყოფას ის ფაქტიც ართულებს, რომ რამდენიმე თვეა, სოციალურმა სააგენტომ ყოველთვიური საარსებო შემწეობა შეუწყვიტა და მისი ერთადერთი შემოსავლის წყარო პენსია დარჩა.

„კედლებზე იმხელა ნაპრალებია, ვინმემ რომ მოინდომოს, კაცი თავისუფლად გადვრება. ოთახები ზამთარში ვერ დამითბუნებია. არაფერს მყავს, რომ დამეხმაროს და სახლი გავამაგრო, აქამდე ვერაფრით მოვახერხე ამ პრობლემის გადაჭრა. ჩემი პენსია კი რამდენს განვადებ, რომ რემონტსაც გავანჯღინო და არსებობაც შევძლო. მოხუცებულ ადამიანს პენსია მხოლოდ წამლების შესაძენად არ ეყოფა. მშიერი ხომ არ ვიჯდები, სხვა გამოსავალი არ მაქვს, ვარ ასე, ბედის ანაბარა,“ – ამბობს ქალბატონი თამარი.

დაზიანებული საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის თხოვნით მარტოხელა ქალმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს რამდენიმე თვის წინ მიმართა. როგორც თავად ამბობს, ასაკის გამო ქალაქ დედოფლისწყაროში გამგეობის შენობაში მისვლა და პრობლემის იქამდე მიტანა ვერ მოახერხა, ამიტომ, იმ დროს დაელოდა, როცა

გამგებელი სოფელში თავად ჩავიდოდა. გამგებელი კი პროექტის „ერთი დღე სოფელში“ ფარგლებში ყველა სოფელს ეწვია, რაც, როგორც აღმოჩნდა, ამ კატეგორიის მოქალაქეებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი გამოდგა.

„გავიგე, რომ გამგებელი ჩვენს სოფელში ჩამოდიოდა და მეც მასთან შესახვედრად მოვედი, სანამ ჭერი თავზე დამენგრევა, რაღაცა გზას ხომ უნდა დავადგე?! შეხვედრიდან ისეთი კმაყოფილი გამოვედი, მეტი რომ აღარ შეიძლება, გამგებელმა ძალიან კარგად მიმიღო. კარგი ადამიანი ყოფილა. დამპირდნენ, სამშენებლო მასალებს მოვიტანოთ, დაგვხმარებინებ, გავამაგრობოთ კედლებსო. მუშა ხელით დახმარებას კი სოფლის გამგებელი დამპირდა. სხვა არაფრის დარდი არ მაქვს და არაფერს აღარ ვნაღვლობ, ჩემი სასუხარო სახლის გამაგრება,“ – ამბობს მარტოხელა მოხუცი.

სოფელ ზემო ქედში გამგებლის წარმომადგენელი ბაქსან სუსხუაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ მარტოხელა ქალს ბინის ქირის ბიუჯეტიდან გადახდა შესთავაზეს, თუმცა მოხუცი სხვაგან გადასვლის კატეგორიული წინააღმდეგობა.

„ეს სახლი ძალიან ძველი აშენებულია. ამ სოფელში პირველად რომ სახლები შენდებოდა, მაშინდელია და მისი გამაგრება წარმოუდგენელია. მითუმეტეს რაიონული ბიუჯეტით ამის გამაგრება ვერ მოხერხდება და არც გვაქვს ამ მუხლში ფინანსები, რომ მოქალაქეთა ასეთი პრობლემები დაფინანსდეს. წყალი იმდენად არ ჩადის, ძველი კრამიტით არის დახურული. ამ სიტუაციაში ყველაზე კარგი გამოსავალია, ცალკე გაგვეყვანა ქირით. ასეთ შემთხვევაში ასე ვიქცევით ხოლმე. როცა საცხოვრებელი ფართი სიცოცხლისთვის სახიფათოა, მათთვის ბინას ვქირაობთ. ჩვენი მხრიდან

ასეთი შეთავაზება რამდენჯერმე გაკეთდა, მაგრამ თავად უარზეა. ამბობს, რომ არ უნდა სხვაგან წასვლა და სიცოცხლის ბოლო წლების გატარება თავის კარ-მიდამოში სურს. რადგან ასეთი პრინციპული მიდგომა აქვს, ვერ შევეწინააღმდეგეთ, თუმცა ჩვენი შეთავაზება ისევ ძალაშია. სოფელ ზემო ქედში ასეთი დაფინანსებით რამდენიმე ოჯახი სარგებლობს. გასულ წლებში უფრო მეტი იღებდა ქირის ფულს.

– გამგეობამ შეისწავლა თუ არა მისი საცხოვრებელი ფართის მდგომარეობა?

– რა თქმა უნდა. დედოფლისწყაროს გამგეობის ზედამხედველობის სამსახური რამდენჯერმე იმყოფებოდა. ჩამოვიდნენ და შეამოწმეს მისი სახლი. დაილო დასკვნაც და კიდევ ერთხელ ავუსხენით, რომ შეგვიძლია დღესვე გადავიყვანოთ ქირით ამავე სოფელში, რომელიმე საცხოვრებელ სახლში.

– ამ დრომდე რა სახის დახმარებით უსარგებლია ამ ქალბატონს?

– ადგილობრივი ბიუჯეტიდან სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის ერთჯერადი სოციალური დახმარებით ყოველთვის სარგებლობდა. ყველანაირად ვცდილობთ, თუკი რაიმე დახმარების გაცემა მიმდინარეობს, ზამთრის სეზონზე სათბობი შემაქნება თუ სხვა, ყველანაირად გვერდით დაგუდგეთ. უკმაყოფილებას ხელისუფლების მისამართით არც გამოთქვამს. ამჯერა-



დაც მზად ვართ, თუკი გამგებლის დაპირების მიხედვით მას სამშენებლო მასალებს მისცემენ, ადგილობრივი ძალებით მუშა ხელს დავახმარებთ და გვერდით დაგუდგებით, რომ, შეძლებისდაგვარად, მოხერხდეს გამაგრება. აღმოჩნდა, რომ მის ახლობელს ხელობა ეხერხება, თბილისიდან ჩამოვა და ერთობლივად შევაკეთებთ.“

თამარ მკერვალიძე ყველა, რომ ექვსი თვის წინ სოციალურმა სააგენტომ ყოველთვიური დახმარება მოუხსნა. ამბობს, რომ მიზეზი მისთვის ამ დრომდე უცნობია, რადგან მისი ყოფა არაფრით გაუმჯობესებულა, არც შემოსავალი გასჩენია და არც საყოფაცხოვრებო პირობები შეუცვლია. საარსებო შემწეობის შეწყვეტის შემდეგ მისი ერთადერთი შემოსავალი პენსიაა.

„მანამდე დახმარებას უპირობოდ ვიღებდი და ახლა მომიხსნეს. ახლა კი მალა-ლი ქულები მომივიდა, არ ვიცი რამ გაზარდა ქულები,“ – ამბობს მკერვალიძე.

ილია მარტყოფლივილი


ჰერები მებ ყურადღებას და სამთაწყაროს ხიდის გახსნას ითხოვენ

მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 18 მაისიდან დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ყოველდღიურად ცალკეული სოფლების ისტორიას წარმოადგენენ. მუზეუმის თანამშრომლები, ბოლო წლების განმავლობაში, იკვლევდნენ დედოფლისწყაროს სოფლების ისტორიას, თქმულებებს, მსცოვანი ადამიანების მოგონებებს და მასზე დაყრდნობით საინტერესო მასალების მოგროვება შეძლეს. სოფლების ისტორიის განხილვას ამავე სოფლებიდან მონვეული ინტელიგენციაც დაესწრება, რომლებიც თავის აზრს გამოხატავენ სოფლებში შემორჩენილ ტრადიციებზე და მათ წინაშე არსებულ პრობლემებზე.

„სამთაწყარო სასაზღვრო სოფელია და ისტორიულ ჰერეთთან არის დაკავშირებული, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. გადაწყვიტეთ, კვირეული ამ სოფლის ისტორიით გავგეხსნა. სამთაწყაროსა და კახის რაიონში გვექონდა ექსპედიცია, ბევრ ოჯახში შევედით და საინტერესო მასალები მოვაგროვეთ. ზოგადად, ჩვენ ყოველწლიურად, ზაფხულობით ვატარებთ სოფლებში ექსპედიციებს. მოგესხნებათ, სამთაწყაროში ჰერეთიდან და მალაქითიანი აჭარის ჩამოსახლებული ადამიანები ცხოვრობენ. სოფლებში გვარების ისტორიებს ვსწავლობთ, სხვადასხვა თარიღების მნიშვნელობას ვიკვლევთ. ზოგადად, აუარებელი მასალაა. ბევრი რამ ვერ კიდევ შეუსწავლელია. ჰე-

რეთში მცხოვრები ქართველების მთავარი მოთხოვნა არის და თითქმის ყველა ოჯახში ამას აღნიშნავდნენ, რომ აუცილებელია სამთაწყაროს ხიდის გახსნა, რომელიც ისტორიულ ჰერეთს საქართველოსთან აკავშირებდა. ამ ხიდის დაკეცილი მათ დაკარგეს ერთმანეთი, რადგან მიმოსვლა გართულდა და ვეღარ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. პირდაპირ ამბობენ, რომ იქაურმა ქართველებმა ზურგი დაკარგეს და გეთხოვენ, რომ გავაუღეროთ და ხელისუფლების ყურამდე მივიტანოთ ამ ხიდის გახსნის საკითხი. სხვა დღეებში ყოველდღიურად დანარჩენი სოფლების ისტორიასაც განვიხილავთ და ვგეგმავთ იმ სოფლებიდანაც მოვიწვიოთ სტუმრები,“ – ამბობს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ლალი გურასაძე.

თამარ ჯანიაშვილი (მუზეუმის სპეციალისტი): „ძალიან მაინტერესებდა აჭარლებისა და ჰერეთიდან ჩამოსახლებულების ერთმანეთთან დამოკიდებულება, ამიტომ სამოგონებო მივიღე ექსპედიციაში მონაწილეობა. რამდენიმე წელია, ვმუშაობთ ამ თემაზე. როგორ წარმოიშვა სოფელი სამთაწყარო, ამის თაობაზე არაერთი მოხუცის მონათხრობი მოვისმინეთ და გადმოცემების მიხედვით არსებული ინფორმაცია გავაერთიანეთ. აღმოჩნდა, რომ ძალიან უყვართ ერთმანეთი ინგოლებს და აჭარლებს. მათი თანაცხოვრება ერთ სოფელში მშვენივრად შედგა. ერთმანეთთან ოჯახებს ქმნიან და დღემდე ასე მოდიან. მეც გამოვყოფდი ხიდის გახსნის საკითხს, რომელიც, როგორც ჩანს, ძალიან აწუხებ-



ბს საზღვარს იქით და საზღვარს აქეთ მყოფ ქართველებს. საზღვარს იქით, ისე საოცრად აქეთ შემონახული ქართული მინა ჰერებს, რომ გაცილებით დაფრთხილ. ისე კარგად აქეთ მოვლილი და გალამაზებული, ეზოებიც და ქუჩებიც. ტრადიციული ქართული სამზარეულო აქეთ, ცდილობენ, ქართველობა მაქსიმალურად შეინარჩუნონ, აქტიურად იცავენ ტრადიციებს. ჩვენთან უფრო ნაკლებად შეიმჩნევა და მათ გაცილებით მეტად ახლო დამოკიდებულება აქეთ ნათესავებთან, მეზობლებთან, ახლობლებთან. საქართველოში უფრო შეინიშნება დამოკიდებულებების შესუსტება, იქ ისევე ძლიერად არის. ენას და საუბარს რაც შეეხება, დამახასიათებელი კუთხური აქცენტი შესამჩნევია, მაგრამ ქართულად საუბრობენ და ინარჩუნებენ. განათლების მიღებასაც, ასე თუ ისე, ახერხებენ. სამწუხარო სიახლე ისაა, რომ სოფლებში გეგმავენ ქართული სკოლები დაიხუროს და რამდენიმე სოფელი გააერთიანონ, ერთ სკოლაში მოუყარონ თავი. მიზეზი ისაა, რომ კონტინგენტიც შემცირდა, ქართულენოვანი ბავშვების სიმცირეა და... ასევე გვთხოვენ, გავვერცხვინებინა, რომ ქართველებისგან უყურადღებობას უჩივის ჰერების თითქმის ყველა ოჯახი. უფრო მეტი ყურადღება

უნდათ ჩვენი ხელისუფლებიდან. ძალიან ავიწროებენ აზერბაიჯანელები ქართველებს და ჩვენი დახმარება სჭირდებათ.“

პარლამ ტაბოშვილი (სამთაწყაროს სკოლის დირექტორი): „ძალიან სასიამოვნოა, რომ დედოფლისწყაროში ჩვენი სოფლის ისტორია გაიხსენეს და საინტერესო საღამო გაიმართა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი მასალების შეგროვებას. დრო მიდის, ასაკოვანი ადამიანებს ვკარგავთ და მათთან ერთად ბევრი საინტერესო ისტორიული დეტალი იკარგება და მათი გაერთიანება ფასდაუფლებელი სამუშაოა. ბევრი ისეთი ფაქტი მოვისმინე, რაც მანამდე ჩემთვის უცნობი იყო. ჩემთვის საინტერესო დღე იყო. სამთაწყარო თავისი მაცხოვრებლებითა და ტრადიციებით განსხვავებული სოფელია. სხვა კუთხეებისაგან და დედოფლისწყაროს სხვა სოფლებისგან განსხვავებული ყოფაა და გამორჩეული სოფელია.“

ილია მარტყოფლივილი



სპმთპ-ს დედოფლისწყაროს ორგანიზაციის კორპორატიული საღამო

რამდენიმე დღის წინ, დედოფლისწყაროში გაიმართა პედაგოგთა პროფესიული კავშირის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის კორპორატიული საღამო. საღამოს მასპინძელი გახლდათ დედოფლისწყაროს პედაგოგთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე ქალბატონი მაყვალა მადარაშვილი. მონაწილეები იყვნენ მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის და ბაღის იმ პედაგოგთა კოლექტივები, რომლებიც კავშირის წევრები არიან. თითქმის 200 პედაგოგი იმყოფებოდა შეხვედრაზე, რომელიც სუფრასთან სადღეგრძელოებით და ლხინით წარიმართა. საღამოს სპეციალური სტუმრები გახლდნენ მუნიციპალიტეტის გამგებობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ქალბატონი თამარ თამაზაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის უფროსი ეთერ დავითაშვილი და სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის სერვისცენტრის მენეჯერი მაია ხუმარაშვილი. საპატიო სტუმრები გახლდნენ თბილისიდან მოწვეული სტუმრები: სპმთპ — განყოფილების გამგე თემურ კიკნაძე, ოფის-მენეჯერი ლალი გოგიჩაიშვილი, სამგორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გულიკო ამირიძე და სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ელენე შაიშველაშვილი.

საღამო მიჰყავდა თავად მაყვალა მადარაშვილს, რომელმაც საჯარო სკოლების კოლექტივებს საღამოს ღამაზად ჩატარებისთვის მიცემული დავალებები მოჰკითხათ. თითოეულ მაგიდას ევალეობოდა წარმოდგინა სლაიდმოუ სკოლის წევრთა შესახებ და მცირე მიმოხილვა გაეკეთებინათ მათ სკოლაში პროფესიულ კავშირში განხორციელებულ პედაგოგთა პროცენტულ მაჩვენებლებზე. ეს თემა მთელი საღამოს მსვლელობისას მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ, რადგან მოწოდება, კვლავ მეტი პედაგოგი განეწვეოდა პროფესიულ პროფკავშირში, ძალაში რჩება. აღსანიშნავია და შეხვედრაზეც მრავალჯერ გაესვა ხაზი იმას, რომ დედოფლისწყაროს სკოლებსა და ბაღებში სულ 729 დასაქმებულია, მათ შორის 522 პროფკავშირის წევრია, რომლებიც ყოველთვიურად ხელფასის 1%- პროფკავშირის ანგარიშზე ტოვებენ.

პედაგოგიურმა კოლექტივებმა წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს სიმღერები და იცეკვეს. ასევე იყო თამაშები, რომელიც ქულებით ითლებოდა. დეკლამატორებს ქალბატონმა მაყვალამ გადასცა ფასიანი საჩუქრები, დაჯილდოვდნენ ასევე აქტიური პედაგოგები, ვინც მონაწილეობა მიიღო საღამოს ორგანიზებაში.

საუკეთესოდ წარსდგნენ საზოგადოების წინაშე დედოფლისწყაროს პირველი და მეორე საჯარო სკოლის კოლექტივები, პედაგოგმა იაბოსტამილმა წარმოადგინა ანგარიში, ხოლო ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელმა ლალი ინაშვილმა წაიკითხა გალაქტიონის „მზეოთიბათისა“. ღამაზად წარმოაჩინა თავი სოფელ ოზაანის კოლექტივმა. მცხოვანმა პედაგოგმა გულნარა ქორჩიაშვილი (75 წლის) იმღერა, ლექსი წაიკითხა და პედაგოგები აცეკვა კიდეც. ამავე კოლექტივიდან მაღალ დონეზე ლექსი წაიკითხა პედაგოგმა მაია თევზაძემ. კარგად წარსდგა ჩვენს წინაშე ასევე სოფელ გამარჯვების პედაგოგიური კოლექტივი. საინტერესო გამოსვლა ჰქონდა სოფელ ზემო მარხაანის პედაგოგს ქალბატონ ნუნა ჩუბინიძეს. არბო-შიკიდან გახლდათ პედაგოგი ნუნუ გოგაშვილი, რომელმაც ორი ლექსი მიუძღვნა დამსწრეთ, რისთვისაც სკოლას შესძინა ასევე ფასიანი საჩუქარი.



შეხვედრაზე იყო ასევე კიდევ ორი ასაკოვანი, ღვანლ-მირიოვა (75 წლის) და ლინა ხარაშვილი (76 წლის).

აღსანიშნავია, რომ სოფლების მიხედვით პროფკავშირში განხორციელებისთვის ყველაზე მაღალი პროცენტით სოფელი ქვემო ქედი ლიდერობდა. აქ რამდენი პედაგოგიც ასწავლის სკოლაში, ყველა მათგანი პროფესიული კავშირის წევრია. უფრო დაწვრილებით, იმის შესახებ, თუ რა სარგებელს აძლევს სპმთპ-ს წევრობა სწავლოდ პედაგოგებს, ამაზე მომავალში გვექნება ვრცელი ინტერვიუ ქალბატონ მაყვალა მადარაშვილთან.

შეხვედრა გახლდათ თბილისი, სასიამოვნო, სიყვარულით აღსავსე. ეს იყო ღამაზი საღამო, რომელმაც თითოეულ პედაგოგს რამდენიმე საათით დაავიწყა ცხოვრებისეული მომენტები და ის დღე სასიამოვნო მოგონებად აქცია მათ პროფესიულ საქმიანობაში.

ლალი მხრინიძე

„დედაენა-ჩვენი გონების სამიწკველი“...

პირველი საჯარო სკოლის პირველ კლასში დამრიგებელი ქეთინო დავითაშვილი „დედაენის“ ზეიმზე გვიჩვენებს. თითქმის ცოტა გვიანია, მაისის შუა რიცხვებია, „დედაენის“ ღონისძიებები ხომ აპრილში იმართება-იბადება კითხვა, მაგრამ თურმე წუ იყავით, ამ დროსაც ისეთივე სასიამოვნო და საინტერესო ყოფილა „დედაენის“ ირგვლივ საუბარი და მის წიაღებში მოგზაურობა, თურმე შეგიძლია უსასრულოდ ისმინო და არ მოგწყინდეს წლიწინანების სიძვერე დროსაც კი...ანდა, როგორ მოგწყინდება იმ ენაზე საუბარი, რომელიც ჩვენი გონების საძირკველს შეადგენს, რომელიც

აკვნიდან გვესმის და ჩვენი წინაპრების ენაა, ანბანი, რომელიც მსოფლიოს თითხმეტ ანბანთაგან ერთ-ერთია...დაახ, სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენის ზეიმზე არ მოგვკლება მაყურებელს არც ლექსი, არც სიმღერა და არც ინსცენირებები...ამ ყველაფერს ძალიან მხატვრულად ასრულებდნენ პატარები, ომხიანად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ლექსების თქმასა თუ სიმღერებში, უკვე წლის ბოლოს კარგად იცნობდნენ პედაგოგის ხელი, მის აღმზრდელობით მუშაობას ყველა კუთხით მანიფესტირება გაუკეთეს ბავშვებმა და შრომა უკვალოდ არ დაუტოვეს მასწავლებელს - გაგამ, მათემ,

მარიამმა, ბარბარემ, სოფომ, ნატალიამ, ანანომ, გიორგიმ, ლიკამ, რუსუდანმა, საბამ, ლიზიმ, ანასტასიამ, სალომემ, ერეკლემ, ელი-საბედმა, დალიმ, კესარიამ და ლევანმა. ისინი ანბანის ყველა ასოს თითო სტროფით კიდევ ერთხელ მოეფერნენ და სამადლობელი მიუძღვნეს მის შემქმნელს. წაიკითხეს ლექსები სწავლასა და სამშობლოზე, დადგეს ინსცენირებები „თა და გიგოზე“, „ზარმაც ვანოზე“, „მუქთამჭამელზე“, უმღერეს „დედაენას“, გაზაფხულს, სამშობლოს, ძალიან ღამაზად იცეკვეს მითოლოგიური, კინტაური და მაყურებელს, მშობლებსა და პედაგოგებს ერთი დაუფინყარი დღე აჩუქეს.



დასასრულს სკოლის დირექტორი ეთერ ოთარაშვილი კიდევ ერთხელ ესაუბრა ბავშვებს „დედაენისა“ და ქართული ანბანის როლსა და მნიშვნელობაზე და

მადლობა გადაუხადა ქეთინო მასწავლებელს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ღამაზი, სამახსოვრო ღონისძიების მოწყობისათვის.

ელზა ხარაშვილი

„ს ღ ა შ ა რ ი ე რ“

11 მაისს მოსწვლენ-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა შემოქმედ მოსწავლეთა შორის კონკურსი „ზრაპარ იყო“. როგორც კონკურსის ორგანიზატორმა, ინტელექტუალური წრის პედაგოგმა თამარ აბულაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რაიონის ყველა სკოლას წინასწარ მიეცათ დავალებები, წიგნად აეკინძათ თავიანთი ნააზრევნი, ჩანახატი, ლექსები თუ გადაკეთებული ზღაპრები და გაეფორმებინათ თავიანთივე ნახატებით. კონკურსის მიზანი იყო, წარმოეჩინათ შემოქმედი მოსწავლეები და გაეცნოთ საზოგადოებისთვის. კონკურსში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ასაკის ბავშვები, მათი ნამუშევრები ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. მოსწავლეებმა ნამუშევრების პრეზენტაცია მაყურებლის წინაშე მოახდინეს და დიდი მოწონება დაიმსახურეს, როგორც ყოფილი, ისე დამსწრე საზოგადოების მხრიდან. მონაწილეობდნენ-არხილოსკალოს, ზემო მარხაანის, ოზაანის, დედოფლისწყაროს, სამრეკლოს, ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეები. სულ წარმოდგენილი იყო 14 წიგ-

ნად შეკრული ნამუშევარი, მათ შორის ყოფილი ექვსი გამარჯვებული გამოავლინა, ისინი დაჯილდოვდნენ სიგელებით, ხოლო დანარჩენ მოსწავლეებს მადლობის ფურცლები გადაეცათ. ღონისძიებას ესწრებოდნენ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი მაია ყორჩიაშვილი, გამგებობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი და სხვა მოწვეული სტუმრები.

* * *

რედაქციამ პირობა მისცა გამარჯვებულ მოსწავლეებს, რომ მათ ნამუშევრებს ეტაპობრივად გამოაქვეყნებდნენ, რათა ჩვენს მკითხველს წვდომა ჰქონდეს ჩვენი ნიჭიერი ბავშვების შემოქმედებაზე. დღეს თავაზობთ N1 საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლის ლილე ლეკაშვილის ნამუშევარს: „აღაძული ენა“ გაზაფხულად. ბუნებამ ზამთრის ძილისგან გამოიღვიძა.

დღე გაიზორა და გაიზარდა. ბროლის არტახებისგან განთავისუფლებული ნაკადული სლიპინა ქვებზე ხტუნვით თავქვე დაეშვა და მხიარულად აჩუქჩუდა. მზე უფრო დაუთბა ბუნებას, მინას გული გაუთბა, მცენარეებს ტანში წვენი აუჩუქჩუდა და კვირტებად გამოასკდნენ ათქვირებულ სხეულზე. ხის ძირებში კერ კიდევ შერჩენილ თოვლს თავი დააღწიეს ყორჩიარდებმა, ერთმანეთს თავდახრით მიესალმნენ და მზეს შესციინეს. ტყის პირები და ეზოები ფურუსულეებმა ააფერადეს. მზე გამოცოცხლებულ ბუნებას შეჰხაროდა, ერთობოდა მინაზე ღრუბლების მოძრავ ჩრდილებზე დაკვირვებით. აბეზარი ქარი ღრუბლებს გაეთამაშა, ცხოველებად და ფრინველებად გადაქცეულ ღრუბლებს გაეკიდა, ნამოვნია, აშალა, აწენა, ზოგი კვამლივით გაფანტა ცაზე, ზოგიც ერთმანეთს ახალა. მათმა სიცილ-ხარხარმა ცას ქუხილად გადაუარა, მზემ ღრუბლებს შორის გამოიჭყიტა, „ჭიატო“-შესცინა მათ და თამაში მხიარულად ჩაერთო, ღრუბლები საოცრად ააფერადა, ოქროსფერი

სხივებით ყველას მოეფერა, შესცინა მათ და ღანებზე თბილად ეამბორა. მოკრძალებულმა ენებებმა დაირცხინეს და ღანები შეეფაკლათ. მას შემდეგ ქათქათა ენებებს მზის ნამაზობრევი ალანტული ღანები აქეთ.

ცის კაბადონს ანცმა ქარმა დაჭროლა, ღრუბლებს წვიმა დააინა ცრემლებად, ნამაზკურმა მზემ გამოიჭრიტინა, მთებს გადასდო ცისარტყელა ზიდაბად.

მასალა მოამზადა ელზა ხარაშვილმა



მუზეუმების საერთაშორისო დღეზე სოციალური საწარმოს პრეზენტაცია მოეწყო

18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღეზე მოეწყო ევროპის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის დედოფლისწყაროში პირველი სოციალური საწარმოს კიდევ ერთი მორიგი გამოფენა, რომელსაც პროექტის ხელმძღვანელი სოფიო ჯეთერიშვილი უძღვევოდა. შეხვედრაზე მოეწყო დედოფლისწყაროში მცხოვრების უნარშეზღუდული ბავშვების ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. აღსანიშნავია, რომ პროექტს მხარს უჭერს და ეხმარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა თავად პროექტის ავტორი სოფიო ჯეთერიშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი ნონა ჯიბლაშვილი, გამგეობის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული საქმის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ქალბატონი თამარ თამაზაშვილი, რომლებიც მიესალმნენ წამოწყებულ საქმიანობას და კვლავ მხარდაჭრა აღუთქვეს ბავშვებს.

სოფიო ჯეთერიშვილი: „ჩვენი პროექტი დაინერგა ზაფხულის პერიოდში ახალგაზრდული იდეის ჯგუფის მოსწავლეების მიერ, მაგრამ პროექტმა ოფიციალურად განხორციელება დაიწყო 2016 წლის პირველ დეკემბერს. დღეს, ჩატარდა რიგით მეორე გამოფენა-გაყიდვა და მასშტაბური სახე შეიძინა ამ ყველაფერმა. უნდა აღვნიშნო, რომ არა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გვერდში დგომა და დახმარება, დღევანდელი დღე და საერთოდ ჩვენი პროექტიც ასეთ მასშტაბურ სახეს არ მიიღებდა. აქტიურად მუშაობენ ჩვენი ბენეფიციარები და ძალიან დიდ წინსვლას და წახალისებას ვხედავთ მათში. პროექტი თავდაპირველად დაფინანსდა ევროპის ფონდის მხარდაჭერით და ის ითვალისწინებს დედოფლისწყაროში პირველი სოციალური საწარმოს გახსნას, ეს გახლავთ რეწვის ხელოვნება, ბავშვები ამზადებენ ხელნაკეთ ნივთებს, სუვენირებს, აქსესუარებს. მათი პედაგოგი გახლავთ ქალბატონი მაყვალა ბოჭორიშვილი. დღეს ჩატარებული

გამოფენა-გაყიდვა პირველ აქციაზე წარდგენილი ნამუშევრების გაყიდვით თანხით განხორციელდა, ფაქტიურად, ჩვენ მოვახდინეთ პირველი აქციის რეინვესტირება ახალი ნამუშევრების შესაქმნელად. საკუთარი თანხებით გავაკე-

ჩვენს ხელმძღვანელობას.“
„დედოფლისწყაროში ჩვენ შემოვედით ახალგაზრდების ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, რაც გულისხმობს, რომ ახალგაზრდების წახალისება მოვახდინოთ, რათა ისინი უფრო აქტიურ-



თეთ ახალი გამოფენა, რითაც მოვედით დღევანდლამდე. მაღლობა მინდა გადავუხადო ყველა აქ მოსულ სტუმარს, ევროპის ფონდის წარმომადგენლებს, რომლებიც დღეს თბილისიდან ჩამოვიდნენ ჩვენთან და ასევე მაღლობა

ბი იყვნენ, მეტად ჰქონდეთ საზოგადოებაში ჩართულობის განცდა. პროექტი, რომელიც ახლა ხორციელდება, გახლავთ ახალგაზრდობის ჩართულობის პროგრამა საქართველოში აფხაზეთის ჩათვლით, რომელსაც ევროპის ფონდი ახორ-

ცილებს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. მის ფარგლებში დედოფლისწყაროს მოსწავლეებმა ძალიან ბევრი მოხალისის მობილიზება მოახდინეს. ეს გახლავთ ჩვენი ინიციატივის ერთ-ერთი აქტივობა. პროექტის ღირებულება საწყის ეტაპზე იყო 800 ლარი. სოციალური საწარმო გულსხმობს ბიზნესს, რომელსაც აქვს სოციალური მისია, შემოსავალი, რომელიც მათ ექნებათ, ნაწილი ისევ საქმის რეინკარნაციაში ბრუნდება, ხოლო ნაწილი ხელფასების და საჩუქრების სახით გაიცემა. გვინდა, რომ სოციალური საწარმოს არსებობამ დედოფლისწყაროში მეტი განვითარება ჰპოვოს და არასოდეს დასრულდეს,“ განაცხადა ევროპის ფონდის წარმომადგენელმა ჩვენთან საუბარში.
წარმატება და კიდევ მრავალი პროექტის განხორციელება მინდა ვუსურვო ახალგაზრდული იდეის გუნდს და თავად პროექტის ხელმძღვანელს სოფიო ჯეთერიშვილს.

ლალი მხრიშვილი

ი ყ ი დ ე ბ ა !



იყიდება 67 კვ.მ კომერციული ფართი ძველი რემონტით ქალაქ დედოფლისწყაროში, უზრუნველყოფილი ელექტროენერჯით, წყლით, ბუნებრივი აირით, კანალიზაციით. ფასი შეთანხმებით. მსურველები დაგვიკავშირდით 599 55-90-20



იყიდება კერძო, კაპიტალური სახლი დედოფლისწყაროში, სახლის ფართი 300 კვ.მ, გარემონტებული, 4 საძინებლით, 2 სველი წერტილით, სახლი უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით, ელექტროენერჯით, წყლით, აქვს სათავსო, სარდაფი, ავტოფარეხი, 600 კვ.მ. ეზო. ფასი 100000 \$.
☎ 599 55-90-20

მადლობა რედაქციას!

ორი სასწავლო წელიც არაა, რაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დავიწყე მუშაობა ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელად. ამ პერიოდში სხვადასხვა სახის ღონისძიება ჩავატარე და ყოველთვის აქტიურად გვადევნებდა თვალს ადგილობრივი გაზეთი „შირაქი“, რომლის ფურცლებზეც ჩემი არაერთი წერილი დაიბეჭდა. თითქმის ყველა ჩემს მიერ ჩატარებულ ღონისძიებას ესწრებოდა რედაქციის წარმომადგენელი.
ყურნალისტებმა ელზა ხარაშვილმა, ლალი მხრიშვილმა და ნაირა გორაშვილმა არაერთხელ გააშუქეს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ღონისძიებები და გაზეთში დაბეჭ-

დეს თბილი წერილები, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ.
მინდა განსაკუთრებული პატივისცემა და დიდი მადლიერება გამოვხატო ნიჭიერი, გულისხმიერი, პროფესიონალი ყურნალისტის, შპს „შირაქის“ დირექტორის ქ-ნ ინგა შიოლაშვილის მიმართ თანადგომისა და არაერთი პროფესიული რჩევისთვის.
ბოლო დროს ჩავატარე კონკურსი რაიონის შემოქმედ მოსწავლეთა შორის, რომლებმაც წიგნად აკინძეს და ნახატებით გააფორმეს თავიანთი ნაზრევი, ჩანახატი, გადაკეთებული, მოგონილი ზღაპარი თუ ლექსად მოთხრობილი ამბავი.

ქ-ნმა ინგამ გამარჯვებულ მოსწავლეებს დიდი საჩუქარი და სიურპრიზი გაუკეთა. ყველა გამარჯვებული ნაწარმოები დაიბეჭდება გაზეთ „შირაქში“. ქ-ნი ინგა პირველი გზამკვლევი ამ ბავშვების, რიცხვისაც კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მას და მთელ სარედაქციო კოლექტივს ჩვენი ორგანიზაციის, მოსწავლეთა თანადგომისა და გახარებისთვის.
გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს შემოქმედებით საქმიანობაში.
გვეიმედებით.
თამარ აბულაძე
მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელი.

ი ყ ი დ ე ბ ა !

სამსართულიანი კერძო სახლი ქ. დედოფლისწყაროში, შირაქის ქ. N16. სახლის საერთო ფართი 800 კვადრატული მეტრი, ეზოს ფართი 1300 კვ. მეტრი, დამხმარე ნაგებობით. სახლი განკუთვნილია საცხოვრებლად, ასევე, კერძო სასტუმროს, სავაჭრო ცენტრის, სამენარმეო ცენტრის (სამკერვალო, საკონდიტრო, პურის საცხობი), კერძო საბავშვო ბაღის, საოფისე დანიშნულებისთვის. ფასი შეთანხმებით. ტელ. 591- 20-52-31, თამაზი.

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება სამოთახიანი ბინა ავტოფარეხით ქ. დედოფლისწყაროში (სოკარის ბენზინგასამართი სადგურის მოპირდაპირე მხარეს) რუსთაველის ქუჩა N 4, კორპუსი 31, ბინა 9. ფასი შეთანხმებით. ☎ 555 21 19 20.

შპს "საქსტელ"

კაფე-რესტორანი „დავითი“ აცხადებს ვაკანსიას სხვადასხვა პოზიციაზე 18-დან 40-წლამდე მამაკაცებისა და ქალბატონებისთვის. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: რუსთაველის ქუჩა №53, ან დაგვიკავშირდით ნომერზე: ☎ 577-34-55-39

ამინდი

ორშაბათი 22.05 დღე 17°	სამშაბათი 23.05 ღამე 15°	ოთხშაბათი 24.05 დღე 18°	ხუთშაბათი 25.05 ღამე 16°	პარასკევი 26.05 დღე 17°	შაბათი 27.05 ღამე 12°	კვირა 28.05 დღე 15°	ღამე 13°	დღე 16°	ღამე 15°	დღე 18°	ღამე 17°	დღე 20°	ღამე 19°
------------------------------	--------------------------------	-------------------------------	--------------------------------	-------------------------------	-----------------------------	---------------------------	-------------	------------	-------------	------------	-------------	------------	-------------

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: ლალი მხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათია ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „სამშობლოს“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	--	--	---